ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
კრწანისის რაიონის გამგეობა

Tbilisi City Municipality Krtsanisi District Administration

ბრძანება

№ 77

18 მარტი 2015 წ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების საკონკურსო კომისიისა და მისი აპარატის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი"-ს მე-2 და მე-4 მუხლების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვების კონკურსის საშუალებით განხორციელების მიზნით:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების კონკურსის საშუალებით განსახორციელებლად შეიქმნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საკონკურსო კომისია თანდართული (იხ. დანართი N1) შემადგენლობით;
2. შეიქმნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საკონკურსო კომისიის აპარატი თანდართული (იხ. დანართი N2) შემადგენლობით;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

კრწანისის რაიონის გამგებელი — გიორგი კოპალეიშვილი

ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა TBILISI KRTSANISI REGION ADMINISTRATION GEORGIA *204521776*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის
გამგებლის 2015 წლის „18“ „მარტი“
N 177 ბრძანების
დანართი N1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის

საკონკურსო კომისია:

გიორგი კოპალეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

არჩილ ჩარგეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა დარგში, საკონკურსო კომისიის წევრი.

დავით ხერხეულიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის
გამგეობლის 2015 წლის „18“ „მაისი“
N77 ბრძანების
დანართი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის

საკონკურსო კომისიის აპარატი:

გიორგი კოპალეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი, საკონკურსო კომისიის აპარატის თავმჯდომარე.

მერი დევდარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

თამარ გეგია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის აპარატის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.